

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, შპს „მედგრუპ ჯორჯიასა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 25 დეკემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისი 21 ოქტომბერი, 2016 წ.

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში - „შეთანხმება“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“),
წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ილია ელოშვილის მიერ,

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ (შემდგომში წოდებული, როგორც „კომპანია“), ს/კ:
205206873, წარმოდგენილი დირექტორის, თეა გადრანის მიერ,

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში
წოდებული, როგორც „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური
დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ,

შპს „ერა ჯორჯია“ (შემდგომში წოდებული, როგორც „ახალი კომპანია“), ს/კ:
404495514, წარმოდგენილი დირექტორის, ივანე მარტიაშვილის მიერ,

(შემდგომში ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“ და ცალ-ცალკე, როგორც -
„მხარე“).

ვინაიდან, საქართველოს მთავრობას, შპს „მედგრუპ ჯორჯიას“ და სს
„ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 25
დეკემბერს დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში - „მემორანდუმში“)
„შაქმაქეთი“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების
(შემდგომში - „პროექტი“) თაობაზე;

ვინაიდან, კომპანიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროექტის ახალ
კომპანიაზე გასხვისების თაობაზე;

ვინაიდან, ახალი კომპანია თანახმაა, ჩაანაცვლოს კომპანია, როგორც
მემორანდუმის მხარე და სრულად და უპირობოდ იკისროს მემორანდუმით
გათვალისწინებული კომპანიის ვალდებულებები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობისა და ურთიერთგაგების მემორანდუმის გათვალისწინებით, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. წინამდებარე შეთანხმების დადების მომენტიდან შეიცვალოს მემორანდუმის მხარე და კომპანია ჩანაცვლდეს ახალი კომპანიით.
2. წინამდებარე შეთანხმების დადების მომენტიდან ახალ კომპანიას ეკისრება კომპანიის მიერ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების უშუალოდ, სრულად და უპირობოდ შესრულების ვალდებულება, ამასთან, ახალ კომპანიას ეკისრება პასუხისმგებლობა შეთანხმების დადების მომენტისათვის კომპანიის მიერ მემორანდუმის ფარგლებში შეუსრულებელ ან/და არაჯეროვნად შესრულებულ ვალდებულებებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მემორანდუმიდან გამომდინარე შესაბამის სამართლებრივ და ფაქტობრივ შედეგებზე.
3. წინამდებარე შეთანხმების დადების მომენტიდან კომპანია სრულად კარგავს მემორანდუმით გათვალისწინებულ უფლებებს და თავისუფლდება მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მოვალეობისგან.
- 3¹. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, გაუქმდება შპს „მედგრუპ ჯორჯიასა“ და „ესკოს“ შორის 2016 წლის 18 ივლისს გაფორმებული „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულება, ხოლო შპს „ერა ჯორჯიასა“ და „ესკოს“ შორის გაფორმდება ახალი ხელშეკრულება „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შესახებ“ იგივე პირობებით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულება გაუქმდება შპს „მედგრუპ ჯორჯიასთვის“ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმპლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად კვალიფიციური საწარმოს სტატუსის გაუქმების შემდგომ, ხოლო ახალ კომპანიასთან ახალი ხელშეკრულება გაფორმდება შპს „ერა ჯორჯიასთვის“ იმავე წესების შესაბამისად კვალიფიციური საწარმოს სტატუსის მინიჭების შემდგომ.
4. წინამდებარე შეთანხმების დადების მომენტიდან მემორანდუმით გათვალისწინებული ყველა მითითება კომპანიის მიმართ გულისხმობს და განიმარტება ახალი კომპანიის მიმართ მითითებად.
5. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.
6. მემორანდუმის სხვა მუხლები, დებულებები და დანართები რჩება უცვლელი.
7. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
8. წინამდებარე შეთანხმება დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან კავშირში წარმოშობილი ნებისმიერი დავა, რომელიც მხარეებს შორის ვერ მოგვარდება მოლაპარაკების გზით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა

ილია ელოშვილი

შპს „მედგრუპ ჯორჯია“


თბილისი


სს „ელექტროენერჯის სისტემების კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამბაკაძე

შპს „ერა ჯორჯია“

თბილისი





ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Saratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/1130
30/09/2016

1130-01-2-201609301716



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 26 სექტემბრის #04/3881 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „მედგრუპ ჯორჯიასა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 25 დეკემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი (შაქმაქეთი ჰესი) და მოგახსენებთ, რომ ვეთანხმებით წარმოდგენილ დოკუმენტს ქვემოთ მოცემული შენიშვნის გათვალისწინებით:

მოგახსენებთ, რომ ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „მედგრუპ ჯორჯიას“ შორის 2016 წლის 18 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შესახებ“. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტის უნდა დაემატოს 3¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„3¹. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ მოხდება შპს „მედგრუპ ჯორჯიასა“ და ესკოს შორის 2016 წლის 18 ივლისს გაფორმებული „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების გაუქმება, ხოლო შპს „ერა ჯორჯიასა“ და ესკოს შორის იგივე პირობებით გაფორმდება ახალი ხელშეკრულება „ელექტროენერჯის გარანტირებული

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE


სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახელო ინსპექციის შიგნით 07.08.2006 წლის კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036

შესყიდვის შესახებ“. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანიასთან ხელშეკრულების გაუქმება განხორციელდება შპს „მედგრუპ ჯორჯიასთვის“ „ელექტროენერჯის (სიმბლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად კვალიფიციური საწარმოს სტატუსის გაუქმების შემდგომ, ხოლო ახალ კომპანიასთან ახალი ხელშეკრულება გაფორმდება შპს „ერა ჯორჯიასთვის“ იმავე წესების შესაბამისად კვალიფიციური საწარმოს სტატუსის მინიჭების შემდგომ.“

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე



გენერალური დირექტორი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№6376

27 / სექტემბერი / 2016 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 26 სექტემბრის № 04/3880 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „მედგრუპ ჯორჯიას“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 25 დეკემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე გასაფორმებელი შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.


პატივისცემით,

გ. დხიჭიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე

ჩემი



საქართველოს მთავრობის განკარგულება


№2114 2016 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „მედგრუპ ჯორჯიას“, შპს „ერა ჯორჯიასა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები შეთანხმების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „მედგრუპ ჯორჯიას“, შპს „ერა ჯორჯიასა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები შეთანხმება, საქართველოს მთავრობას, შპს „მედგრუპ ჯორჯიასა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 25 დეკემბერს დადებულ ურთიერთგაგების შემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი